ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N41

09.08.2024 წელი **ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2**
15:00 საათი **ოთახი 3-01**

მიმდინარე წლის 9 აგვისტოს, 15:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ანა კილაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით დაფუძნებული **„ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი -ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“** შესახებ ინფორმაციის მოსმენა.
   მომხსენებელი - მომხსენებელი - გურამ ოქროპირიძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი - ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის 2024 შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა.

გურამ ოქროპირიძე - მოგესალმებით, მიმდინარე წლის 12 აგვისტოს, ქალაქ რუსთავში გაიმართება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი - ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის'', მოგეხსენებათ, რომ ახალგაზრდული ფორუმი 2018 წელს

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით დაფუძნდა და წელს მეოთხედ ჩატარდება. ფორუმის თანაორგანიზატორები და მხარდამჭერები არიან საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალგაზრდობის სააგენტო და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG).

ფორუმის ფარგლებში საქართველოს 64-ვე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს საშუალება ექნება ჩაერთოს, გააზიაროს საუკეთესო პრაქტიკა ახალგაზრდული პროექტების მიმართულებით და კითხვები დაუსვას მოწვეულ სტუმრებს პანელური დისკუსიების ფორმატში. დასარულს საკრებულოს ახალგაზრდა წევრები კენჭს უყრიან რეზოლუციის პროექტს „ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის". ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ხელისუფლებისა და სხვა დაინტერესებული სუბიექტებისთვის ძირითად რეკომენდაციებს ახალგაზრდების გაძლიერებისთვის.

ახალგაზრდული ფორუმის სრულფასოვანი ჩატარებისთვის დაგვჭირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნოს მხარდაჭერა, გაშუქების, საორგანიზაციო და ტექნიკურ ნაწილში, რისთვისაც მინდა ვთხოვო კომისიის სამდივნოს უშუალო კომუნიკაციით უზრუნველყოს ფორუმის ყველა ტექნიკური, თუ მატერიალური საჭიროება.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით დაფუძნებული **„ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი - ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის"** შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე